

**თურქეთელი ქართველები
პროფ. ტარიელ ფუტყარაძის სტატიების,
წერილებისა და ესეების წიგნი
„ბევრი რამ ერთად“**

**GEORGIANS IN TURKEY
IN THE BOOK OF ARTICLES,
LETTERS AND ESSAYS
BY PROF. TARIEL PUTKARADZE
“LOTS OF THINGS TOGETHER”**

იამზე ვაშაკიძე
კავკასიის უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

Iamze Vashakidze
Caucasus University
Tbilisi, Georgia

აბსტრაქტი

სტატიაში წარმოდგენილია პროფ. ტარიელ ფუტყარაძის პოზიცია ისტორიული ტაო-კლარჯეთის მკვიდრ მოსახლეობასა და მე-19 საუკუნის მე-2 ნახევარში რუსეთ-ოსმალეთის ომების შედეგად თურქეთში გადახვეწილ მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლებთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებზე მისი სტატიების, წერილებისა და ესეების წიგნი („ბევრი რამ ერთად“) თავმოყრილი მასალების მიხედვით. წერილების ავტორი:

1. თურქულენოვანი გავლენის ველში მოქცეული ქართველობის „გარდაუვალი ასიმილაციისგან გადარჩენას“ შესაძლებლად მიიჩნევს დედაენის ცოდნის შემთხვევაში, რაც მოიაზრებს როგორც ქართული სამწიგნობრო ენის შესწავლას, ისე თურქეთელ ქართველთა „კუთხური მეტყველებების შენარჩუნებას“; სწორედ ამას ისახავდა მიზნად პროფ. ტარიელ ფუტყარაძის ხელმძღვანელობით ისტორიულ ტაო-კლარჯეთში განხორციელებული დიალექტოლოგიური ექსპედიციები.

2. თურქეთის ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის იდენტობის შენარჩუნებაში თანაბარ პასუხისმგებლობას აკისრებს როგორც საქართველოს, ისე თურქეთის სახელმწიფოს; ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი იყო თურქეთის ხელისუფლების კანონი ქართული ენის შესწავლის ნებადართულობის შესახებ, ასევე, ზრუნვა ტაო-კლარჯეთის ქართული მეგლების აღდგენისათვის, რაც განაპირობა როგორც

„გააქტიურებულმა ტურისტულმა ინტერესებმა“, ასევე, თურქეთის ქართველებისა და სამეცნიერო წრეების დაინტერესებამ ამ ძეგლებით;

3. სწორი განათლებისა და ობიექტური კვლევების შედეგების მისაწვდომობაში ხედავს ავტოქთონი უმცირესობების ენობრივ-ეთნიკური მეობის გადარჩენის საფუძველს, რომ თურქი და ქართველი კოლეგები, „ერთობლივად ზიარ ჭურჭელს უნდა ქმნიდნენ“ ქართული კულტურისა და იდენტობის გადარჩენისათვის;

4. ყურადღებას ამახვილებას იმაზე, რაც საერთო გვაქვს ქრისტიან და მუსლიმან ქართველებს: სისხლი, ისტორიული მეხსიერება, მიწა-წყალი, ტრადიციები, დედაენა, სამწიგნობრო კულტურა.

5. თურქეთელი ქართველების საკითხს განიხილავს პირდაპირ კავშირში საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობასთან, რომელიც უნდა დაეფუძნოს ორივე მხარის გეოპოლიტიკურ ინტერესს, კეთილმეზობლობასა და აკადემიური კვლევებით დადგენილ რეალობას.

პროფ. ტარიელ ფუტკარაძის სტატიების, წერილებისა და ესეების წიგნში „ბევრი რამ ერთად“ წარმოჩენილი თურქეთელი ქართველები არიან სწორი ორიენტირების მატარებელი მოქალაქეები; ისინი ქმნიან საიმედო ძალას, რომელმაც ბიძგი უნდა მისცეს საქართველოსა და თურქეთს შორის ჯანსაღი ურთიერთობის განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: თურქეთელი ქართველები, ტაო-კლარჯეთი, ტარიელ ფუტკარაძე.

ABSTRACT

The article presents the position of Prof. Tariel Putkaradze on problematic issues related to the indigenous population of historical Tao-Klarjeti and the descendants of Muhajir Georgians who fled to Turkey as a result of the Russian-Ottoman wars in the 2nd half of the 19th century, based on the materials collected in his book of articles, letters and essays (“Many Things Together”). Author of the letters:

1. He considers it possible to “save Georgians from inevitable assimilation” in the sphere of Turkish influence by knowing their mother tongue, which implies both the study of the Georgian literary language and the “preservation of the dialects” of the Georgians in Turkey; this was precisely the goal of the dialectological expeditions carried out in the historical Tao-Klarjeti region under the leadership of Prof. Tariel Putkaradze.

2. Holds both the Georgian and Turkish states equally responsible for preserving the identity of the ethnic Georgian population of Turkey; In this regard, the Turkish government’s law on permitting the study of the Georgian language was important, as well as the concern for the restoration of the Georgian monuments of Tao-Klarjeti, which was determined by both “activated tourist interests” and the interest of Georgians and scientific circles in these monuments in Turkey;

3. He sees the basis for the survival of the linguistic-ethnic identity of autochthonous minorities in the availability of proper education and objective research results, and that Turkish and Georgian colleagues should “jointly create a shared vessel” for the survival of Georgian culture and identity;

4. Focusing on what we, Christian and Muslim Georgians, have in common: blood, historical memory, land, traditions, mother tongue, and literary culture.

5. The issue of Turkish Georgians is discussed in direct connection with the relationship between Georgia and Turkey, which should be based on the geopolitical interests of sides, good neighborliness, and the reality established by academic research.

The Georgians in Turkey, featured in Prof. Taniel Putkaradze's book of articles, letters, and essays, "Many Things Together," are well-oriented citizens; they constitute a reliable force that should give impetus to the development of healthy relations between Georgia and Turkey.

Keywords: Georgians in Turkey, Tao-Klarjeti, Taniel Putkaradze.

შესავალი

პროფ. ტარიელ ფუტკარაძის სურვილის თანახმად, მე და ჩვენი ოჯახის წევრებმა – ნათია და რატი ფუტკარაძეებმა – მოვიძიეთ სოციალურ ქსელში 2010-2020 წლებში გავრცელებული მისი სტატიების, წერილებისა და ესეების ერთი ნაწილი და ახლა ახან წიგნად გამოვეცით; წიგნის სახელწოდება – „ბევრი რამ ერთად“ – ავტორს ჯერ კიდევ 2020 წელს ჰქონდა მოფიქრებული.

წიგნში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ქართველოლოგიის აქტუალურ საკითხებზე შექმნილი ის წერილები, რომლებშიც საუბარია საქართველოს ამჟამინდელ სახელმწიფო საზღვრებს მიღმა დარჩენილი ქართველების, კერძოდ, ისტორიული ტაო-კლარჯეთის მკვიდრი მოსახლეობისა და მე-19 საუკუნის მე-2 ნახევარში რუსეთ-ოსმალეთის ომების შედეგად თურქეთში გადახვეწილ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებასა და ეთნოგრაფიულ ყოფაზე. ძირითადი ნაწილი ამ ტიპის მასალისა თავმოყრილია ქვეთავში: **1.1.4. ირანის და თურქეთის ქართველები**, თუმცა ინფორმაცია ამ მიმართულებით არის სხვა თავებში წარმოდგენილ წერილებშიც.

მასალების ავტორის პოზიცია თანამედროვე თურქეთის ეთნიკურად ქართველი მოქალაქეების თემაზე ჩვენ განხილული გვაქვს ორ სტატიაში; ერთი მათგანი – „**პროფ. ტარიელ ფუტკარაძე საქართველო-თურქეთის კულტურული ურთიერთობების შესახებ**“ – წაკითხულ იქნა მოხსენებად 2023 წლის 27-28 ოქტომბერს დუზჯეს უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილების დაარსების 10 წლისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სიმპოზიუმზე და დაიბეჭდა დუზჯეს უნივერსიტეტის შრომების ამავე წლის კრებულში („თურქულ-ქართული კულტურული ურთიერთობები, ისტორია – კულტურა – ლიტერატურა – ენა“), ხოლო მეორე სტატია – „**პროფ. ტარიელ ფუტკარაძე თურქეთის მოქალაქე ქართველების შესახებ (2009-2016 წლების ჩანაწერების მიხედვით)**“ დაიბეჭდა 2024 წელს პროფ. სუდან ალთუნის რედაქტორობით მომზადებულ ჟურნალში: „ქართველოლოგიური კვლევები თურქეთში, II“ (TÜRKİYE’DE KARTVELOLOJİ ÇALIŞMALARI II).

კვლევის მეთოდები

წერილებზე მუშაობისას, მასალის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოვიყენეთ აღწერითი და შედარებითი ანალიზის მეთოდები. აღწერითი მეთოდის საშუალებით აღვწერეთ და თავი მოვუყარეთ სოციალურ ქსელში სხვადასხვა დროს განთავსებულ წერილებს თურქეთელ ქართველებზე, განვსაზღვრეთ მათი შედგენილობა. შედარებითი ანალიზის მეთოდით შევაჯერეთ წერილებში გამოხატული თვალსაზრისები და დაკვირვებები, რამაც საშუალება მოგვცა გამოგვევლინა ის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც საფუძვლად უდევს პროფ. ტარიელ ფუტკარაძის პოზიციას თურქეთელ ქართველთა ენობრივ-ეთნიკური იდენტობის თემასთან დაკავშირებით.

მსჯელობა

წარმოდგენილ სტატიაში ყურადღებას გავამახვილებთ რამდენიმე პრობლემურ საკითხზე, რომლებსაც პროფ. ტარიელ ფუტკარაძე გამოყოფს თურქეთელი ქართველების თემასთან დაკავშირებით, კერძოდ:

1. წერილების ავტორის პოზიციის თანახმად, „ისტორიული დედაენისა და წინაპრების მიერ შექმნილი კულტურის ცოდნის დონე განსაზღვრავს პიროვნების ენობრივ-ეთნიკურ და ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მეობას“ (ფუტკარაძე 2025: 200); თურქულენოვანი გავლენის ველში მოქცეული „მილიონობით ქართველის გარდაუვალი ასიმილაციისგან გადარჩენა“ შესაძლებელია **დედაენის** ცოდნის შემთხვევაში, რაც მოიაზრებს როგორც ქართული სამწიგნობრო ენის შესწავლას, ისე თურქეთელ ქართველთა გაქრობის საფრთხის ქვეშ მყოფი „კუთხური მეტყველებების შენარჩუნებას“ (ფუტკარაძე 2025: 437-438).

აღნიშნული მიმართულებით მუშაობის მაგალითია აწსუ ქართველოლოგიის ცენტრის მიერ ისტორიულ ტაო-კლარჯეთში განხორციელებული **შემეცნებითი ხასიათის დიალექტოლოგიური ექსპედიციები**, რომელთა მიზანიც იყო: ა) ქართველური მეტყველების ნიმუშების ჩაწერა – ქართველური დიალექტების მონაცემთა ბაზის შექმნა (როგორც ვიდეომასალის, ისე ტექსტების სახით); ბ) წინაპართა მიერ ნაგები ციხეებისა და ეკლესიების მონახულება; გ) თურქეთელ ქართველებთან დაახლოება – გაუცხოების აღმოფხვრა (ვაშაკიძე 2023: 316); ასევე – საპატრიარქოს ქართული უნივერსიტეტის „ქართველოლოგიის ცენტრის საქმიანობა თურქეთსა და ირანში მცხოვრები ავტოქთონი ქართველების მემკვიდრეობის შესწავლისა და უცხოეთში გაფანტული ქართველებისათვის ქართული ენის სწავლების კუთხით“ (ფუტკარაძე 2025: 546), „დედაენის საერთაშორისო ფონდის“ დაარსება (2015) და სხვ.

2. თურქეთის ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის იდენტობის შენარჩუნებაში **თანაბარი პასუხისმგებლობა** ეკისრება როგორც საქართველოს, ისე თურქეთის სახელმწიფოს; ამ თვალსაზრისით, წერილების ავტორისათვის მნიშვნელოვანია ბოლო პერიოდში **თურქეთის ხელისუფლების**:

– **კანონი** (სხვა ენათა მსგავსად) ქართული ენის შესწავლის ნებადართულობის შესახებ (ფუტკარაძე 2025: 426), რასაც მოწმობს 2013-2014 სასწავლო წლიდან ქართული ენის სწავლება თურქეთის საჯარო და კერძო

სკოლებში, ასევე ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილებების ამოქმედება თურქეთის უმაღლესი სასწავლებლების, კერძოდ, კავკასიის (ყარსის), არდაჰანის, დუზჯესა და რიზეს რეჯეფ ტაიფ ერდოღანის უნივერსიტეტებში (ალთუნი 2022, III);

– **ზრუნვა ტაო-კლარჯეთის ქართული ძეგლების აღდგენისათვის**, რაც განაპირობა როგორც „გააქტიურებულმა ტურისტულმა ინტერესებმა“, ასევე „თურქეთის მოქალაქე ქართველებისა და... აკადემიური წრეების დაინტერესებამ ამ ძეგლებით“ (ფუტკარაძე 2025: 201); პროფ. ტარიელ ფუტკარაძე თავის ჩანაწერებში პოზიტიურად აფასებს თურქეთის ხელისუფლების თანხმობას სოფ. ტბეთის მოსახლეობის მოთხოვნაზე ტბეთის ეკლესიის რესტავრაციასთან დაკავშირებით, ასევე – პარხლის, იშხნის და სხვა ქართული ეკლესია-მონასტრების აღდგენით სამუშაოებს, თუმცა ყველა ძეგლი ვერ აღმოჩნდა თანაბარ მდგომარეობაში, რაც აშკარაა ოთხთის ეკლესიის მაგალითზე (ვაშაკიძე 2024: 72-73; ფუტკარაძე 2025: 199).

3. **„სწორი განათლების შემთხვევაში ბევრი პრობლემა დაიძლევა“** (ფუტკარაძე 2025: 431), მცდარი კვალიფიკაციები კი შეიძლება იქცეს „საზოგადოების მადეზორიენტირებელ საშუალებად“; წერილების ავტორს ამის მაგალითად მოაქვს თურქეთის გარკვეულ წრეებში გავრცელებული ფსევდომეცნიერული ცნობა, თითქოს „მუსლიმანობა... უსისხლოდ... გავრცელდა და არაბობისა თუ ოსმალბობის დროს... სისხლის გუბეები არ დამდგარა თუნდაც აჭარაში“. ანალოგიურია თურქი მეცნიერის – კირზიოღლუს ყალბი ინფორმაციაც მესხების ყივჩაღური წარმომავლობის შესახებ და სხვ.; როგორც პროფ. ტარიელ ფუტკარაძე აღნიშნავს, თურქეთელი ქართველებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ორივე ქვეყნის „ენათმეცნიერთა, ისტორიკოსთა, ეთნოლოგთა“ „საერთაშორისო სამეცნიერო თუ საინფორმაციო ველში შეჯერებული“ **„ერთობლივი არაპოლიტიზებული კვლევების“** შედეგები; თურქი და ქართველი კოლეგები, როგორც თანასწორი პარტნიორები, „ერთობლივად ზიარ ჭურჭელს უნდა ქმნიდნენ“ ქართული კულტურისა და იდენტობის გადარჩენისათვის (ვაშაკიძე 2023: 317). „ობიექტური კვლევების შედეგების მისაწვდომობა გაზრდის ხალხებს შორის ურთიერთპატივისცემას... ავტოქთონი ეთნიკური უმცირესობებისათვის შექმნის ობიექტური თვითაღქმისა და ენობრივ-ეთნიკური მეობის გადარჩენის მყარ საფუძველს“ (ფუტკარაძე 2025: 199-200).

აღნიშნულს მოწმობს ორივე მხარის სამეცნიერო და პოლიტიკური წრეების წარმომადგენელთა თანამშრომლობით ჩატარებული სანგუს ქართველოლოგიის ცენტრის V საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „თურქეთელი ქართველები: ისტორია და პერსპექტივები“ (29 მაისი, 2015), შოთა რუსთაველის 850-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია დუზჯეს უნივერსიტეტში (12-14 მაისი, 2017), ასევე – საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 2019-2022 წლების პროექტი „ქართველურ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევის კანონზომიერებები ქართველურენოვანი მუჰაჯირების შთამომავალთა მეტყველების მიხედვით“ და სხვ.

4. წერილების ავტორის პოზიციის თანახმად, „მილიარდ-ნახევარი ქრისტიანისა და მილიარდ-ნახევარი მუსლიმანის საზღვარზე არსებულ საქართველოში ყველასათვის წამგებიანი იქნება **რელიგიური დაპირისპირების** პროვოცირება (რომელიც შეიძლება სულ სხვა მხრიდან დაიგეგმოს და სხვა მხარეს აძლევდეს ხელს“ (ფუტკარაძე 2025: 449); სჯობს, მეტი საუბარი იმაზე, რაც საერთო გვაქვს ქრისტიან და მუსლიმან ქართველებს: „ერთი გვაქვს სისხლი, დიდი ისტორიული მეხსიერება, მიწა-წყალი, ტრადიციები, დედაენა, საოცრად ზუსტი ქართული ანბანი და მრავალსაუკუნოვანი სამწიგნობრო კულტურა... თუ გვეყოფა გონიერება, ჩვენ ვერავინ დაგვაპირისპირებს ერთმანეთთან“ (იქვე: 432, 437).

წარმოდგენილ პოზიციასთან მიმართებით, საყურადღებოა პროფ. ტარიელ ფუტკარაძის დაკვირვება ქართველთა ერთობის ძველი და ახალი ტრაქტატების შედარებისას, კერძოდ: ქართველთა ერთიანობის გამსაზღვრელ ფაქტორებად, 1790 წლის „იბერიელთა ერთობის ტრაქტატის“ მიხედვით, მითითებულია: **1. ქრისტიანობა; 2. ქართული ენა; 3. საერთო წარმომავლობა**, ხოლო კათოლიკოს-პატრიარქის ახალი (2009) ტრაქტატის მიხედვით – **1. საერთო წარმომავლობა; 2. მრავალსაუკუნოვანი ერთი ენა და კულტურა** (ფუტკარაძე 2025: 165–166).

5. „თურქეთში მცხოვრები ქართველობა ჩვენი ქვეყნების შემეერთებელი ხიდი უნდა იყოს“ – თურქეთელი ქართველების საკითხი პირდაპირ კავშირშია საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობასთან, რომელიც „უნდა დაეფუძნოს ორივე მხარის გეოპოლიტიკურ ინტერესს, კეთილმეზობლობასა და აკადემიური (/ სამეცნიერო) კვლევებით დადგენილ რეალობას“ (ფუტკარაძე 2025: 449).

პროფ. ტარიელ ფუტკარაძე თავისი წერილებით მაქსიმალურად ცდილობს, თურქეთელ ქართველთა სატკივარი აქაურ საზოგადოებამდე მოიტანოს (ვაშაკიძე 2024: 72); მაგალითად: - ფეისბუქმკითხველებისათვის ცნობილია იუსუფელის (ტაოს) რაიონის სოფ. ქობაის მკვიდრ ავტოქტონ ქართველთა თხოვნა ქართული ენის შესწავლაში დახმარების თაობაზე (ფუტკარაძე 2025: 115);

– მაქახლელი **ბორა იავუზი (მოლაშვილი)** წუხს, რომ თურქეთის სახელმწიფოში ქართველი მშობლები პატარებს ქართულს არ ასწავლიან იმ საბაბით, თითქოს სკოლაში შესულებს თურქული მეტყველება „გუუფუჭდებათ“; ბორა თვლის, რომ „დედეების ენის (დედაენის) დაკარქვა ქოქის დაკარქვაა! ასე თუ გაგძელდა, დეიკარქება თურქეთში ქართული ენა!“ (იქვე: 135). ბორასთვის კიდევ ერთი მტკივნეული საკითხია, ისტორიული ძნელებდობის გამო, სხვადასხვა სახელმწიფოს საზღვრებში აღმოჩენილ ქართველებს შორის გაუცხოება, რაც უნდა აღმოიფხვრას სწორი განათლებით;

– შუახნის (55 წლის) ტაოელი ქართველი **ადამ ქიზარი (ფასდოღლი)** ქართულად ვერ წერს და კითხულობს, თუმცა თვლის, რომ ქართული ანბანის შესწავლაში შეუძლებელი არაფერია; მასთან დიალოგიდან აშკარაა, რომ **სარწმუნოებრივი განსხვავებულობა ხელს არ უშლის** საერთო ფასეულობების მქონე ქართველთა ერთიანობას (ფუტკარაძე 2025: 118).

სტუდენტთა დიალექტოლოგიური ექსპედიციის 2015 წლის 5 აგვისტოს დღიურულ ჩანაწერებში, სხვა საკითხებთან ერთად, საუბარია ტაოელ მოზარდებზე, რომელთა მშობლებმა უფრო იციან ქართული, ამათგან კი ნაწილს უხარია ქართული ანბანის შესწავლა, ნაწილი კი ფიქრობს, რომ წინაპართა ენის ცოდნა არაფერში გამოადგება. ექსპედიციის ხელმძღვანელთან საუბარში ისინი იოლად რწმუნდებიან, რომ ქვეყნის **ერთგულ მოქალაქეობასთან** ერთად, მნიშვნელოვანია საკუთარი **ეთნიკური მემკვიდრეობის** შენარჩუნება. პროფ. ტარიელ ფუტყარაძე აღნიშნავს, რომ ტაოს ისტორიული კულტურული ფასეულობების: იშხნის, ოშკის, ხახულის, პარხლის, ოთხთის... თმოგვის, ოლთისის... ფონზე... „ყველაზე დიდი ქართველური მემკვიდრეობაა... ტაოელი ქართველობა: მათი ქართული მეტყველება, ...ძირქართული ხასიათი, ...სასაქართველოო განწყობა, რომელიც ჯერ კიდევ ცოცხლობს (თუმცა ვითარცა ნაკვერჩხალი თითქმის დანაცრედილი მუხის)“ და იმედს იტოვებს, რომ „**საქართველოსა და თურქეთის კეთილმეზობლობა იქნება გარანტი, რომ აქ ქართული ენა გადარჩება**“ (ფუტყარაძე 2025: 118).

საქართველოსა და თურქეთის შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია განათლებული და სწორი ორიენტირების მქონე პიროვნებები; პროფ. ტარიელ ფუტყარაძე მკითხველებს აცნობს ახალგაზრდა **დინჩერ აღფასლანს** სოფ. ბერთადან – „დაბალანსებულ მუსლიმანს“, რომელიც, მართალია, ქართულად ვერ ლაპარაკობს, მაგრამ იცის, რომ ქართველია და გაცნობიერებული აქვს თავისი წინაპრების წვლილი თურქეთის სახელმწიფოს შექმნაში. დინჩერი სწავლობს ქართულს, უნდა საქართველოს მოქალაქეობაც და მიზნად დასახული აქვს საქართველოში „ინტენსიური ყოფნა“, რომ თავის ეთნიკურ ფესვებთან მეტი სიახლოვე ჰქონდეს. მისი მაგალითი მოწმობს, რომ „ნამდვილად თავსებადია ერთდროულად სხვა ქვეყნის ღირსეული მოქალაქეობა და საკუთარი ეთნიკური ფესვების ერთგულება-სიყვარული...“ (იქვე: 130).

იზმითშიმცხოვრებ **ჯუნეითდიასამიძეს** ინგლისურადაქვს წაკითხული მასალები ქართული ენისა და ქართველი ერის „დიდი ისტორიული გზის“ შესახებ (იქვე: 115); მას **განათლების** გზით აქვს შენარჩუნებული **ისტორიული მემკვიდრეობა**.

მკითხველი ასევე ეცნობა ქართული საქმის ერთგულ მუშაკს – **ერდოღან შენოლს**, იმავე ერეკლე დავითაძეს, რომელმაც მეგობრებთან ერთად ორგანიზება გაუკეთა თურქეთში ქართველთა დედაენის პირველ კონფერენციას (2012), ქართული ენის საკვირაო კურსებს ქ. საქარიაში, დაიწყო ქართული ეთნოსის, ენისა და კულტურის შესახებ თურქულენოვანი დოკუმენტური ფილმებისა და ვიდეომასალების მომზადება; შექმნა ორენოვანი ვებგვერდი: gurcu.org-ი 01.01.(2013); 2012-13 წლებში ოფიციალურად მიმართა თურქეთის კულტურის სამინისტროს ტაო-კლარჯეთის ძეგლების რესტავრაციის თაობაზე; გააპროტესტა ერთ-ერთი დიდი თურქული გაზეთის ანტიქართული საკვირაო დანართის (Sabah Abhazya) გამოშვება, რის შედეგადაც ეს გამოცემა შეწყდა; დააარსა ქალაქ საქარიის ქართველთა სათვისტომო (2018); განზრახული ჰქონდა

თურქულად გამოეცა ენციკლოპედიური ტიპის წიგნი საქართველოსა და ქართველების შესახებ და სხვ. (ფუტკარაძე 2025: 137-138).

აკადემიური სამეცნიერო ურთიერთობების განვითარებისათვის თავად პროფ. ტარიელ ფუტკარაძეს „გამორჩეულ პატივად და ვალდებულებად მიაჩნია“ იმუშაოს „საქართველოს ამჟამინდელ საზღვრებს მიღმა მცხოვრებ ქართველ დოქტორანტებთან“; მისი 23 დოქტორანტიდან, როგორც თავად მიუთითებს, 3 თურქეთელი ქართველია; მათგან ორმა: ნერიმან ალბაირაქმა (ილმაზმა) და ფევზი ჩელებმა (ჩელებადემ) თავის დროზე წარმატებით დაიცვა დისერტაცია, ისინი ამჟამად რიზეს რეჯეფ ტაიფ ერდოღანისა და დუზჯეს უნივერსიტეტებში ეწევიან სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ბუნებრივია, ამით არ იწურება თურქეთელი ქართველების თემა; ამას მოწმობს პროფ. ტარიელ ფუტკარაძის სხვა ჩანაწერებიც, რომლებიც სტატიების, წერილებისა და ესეების წიგნში, მასალის სიმრავლის გამო, ვეღარ ჩავრთეთ, თუმცა მომზადებული გვაქვს გამოსაცემად.

პროფ. ტარიელ ფუტკარაძის მიერ გაწეული ღვაწლი თურქეთელი ქართველების მშობლიურ კულტურასთან ზიარების საქმეში დღესაც კეთილ ნაყოფს ისხამს; ამის დასტურია ა.წ. აპრილის დასაწყისში ქ. დუზჯეს ქართული კულტურის ასოციაციის წარმომადგენელთა შეხვედრა ჩვენი საზოგადოების წარმომადგენლებთან; საუბარში მათ აღნიშნეს, რომ აქტიურად არიან დაინტერესებული, შვილებმა სწავლა გააგრძელონ საქართველოს უნივერსიტეტებში; ერთ-ერთმა მათგანმა – **აიდინ დურსუნმა**, რომელიც ამავე დროს დუზჯეს გაზეთის კორესპონდენტიც არის, გვაჩვენა პროფ. ტარიელ ფუტკარაძის 2009 წლის ჩანაწერი (საქართველოსა და თურქეთის თანასწორუფლებიან, მეგობრულ) ურთიერთობაზე, რომელსაც დღემდე ინახავს თავის წიგნაკში:

13.06. 09.

საქართველო და თურქეთი კეთილგანწყობით მეზობლობენ; მთავარი ხიდი ამ სიყვარულისა არის ის ეთნიკური ქართველობა (მილიონობით!), რომელიც თურქეთის რესპუბლიკაში ცხოვრობს და დიდად ერთგულია ამ დიდი ქვეყნისა.

ამ სოფლის მკვიდრი ქართველების სიყვარული თურქეთისადმი და თავიანთი წარმოშობის ადგილისადმი არის ის მთლიანი განცდა, რომელიც საფუძველი უნდა გახდეს ჩვენი მუდმივი თანაარსებობისა...

სიყვარულით, ტარიელ ფუტკარაძე.

ახლახან გაზეთ „კვირის პალიტრის“ 2025 წლის 28 აპრილი – 4 მაისის ნომერში დაიბეჭდა ახალგაზრდა თურქეთელი ქართველის – **ალი ოსმან ქიზარის** წერილი, თუ როგორ შეხვდა პროფ. ტარიელ ფუტკარაძეს თურქეთში და საქართველოში სასწავლებლად წამოსვლის სურვილი გაუმჟღავნა, მან კი დახმარება აღუთქვა. მართალია, ტარიელ ფუტკარაძეს არ დასცალდა დანაპირების შესრულება, მაგრამ დღეს ალი ოსმან ქიზარი, პროფ. როინ მაღაყმადისა და სხალთის ეპარქიის ეპისკოპოს მეუფე სპირიდონის დახმარებით, საპატრიარქოს უნივერსიტეტის სტუდენტი.

დასკვნა

შეიძლება ითქვას, რომ პროფ. ტარიელ ფუტკარაძის სტატიების, წერილებისა და ესეების წიგნში „ბევრი რამ ერთად“ წარმოჩენილი თურქეთელი ქართველები არიან სწორი ორიენტირების მქონე მოქალაქეები, რომლებსაც უყვართ თავიანთი სახელმწიფო, მაგრამ არ ივიწყებენ საკუთარ ეთნიკურ ფესვებსაც – წარმომავლობას, წინაპართა ენას, კულტურას... ისინი ქმნიან საიმედო ძალას, რომელმაც ბიძგი უნდა მისცეს საქართველოსა და თურქეთს შორის ჯანსაღი, კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

ალთუნი 2022: ალთუნი ს. (რედ.). წინასიტყვაობა, ქართველოლოგიური კვლევები თურქეთში, I. ყარსი, 2022. კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ვაშაკიძე 2023: ვაშაკიძე ი., პროფ. ტარიელ ფუტკარაძე საქართველო-თურქეთის კულტურული ურთიერთობების შესახებ. დუზჯეს (თურქეთი) უნივერსიტეტის შრომები: თურქულ-ქართული კულტურული ურთიერთობები, ისტორია - კულტურა - ლიტერატურა - ენა. დუზჯე, 2023. დუზჯეს უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ვაშაკიძე 2024: ვაშაკიძე ი., პროფ. ტარიელ ფუტკარაძე თურქეთის მოქალაქე ქართველების შესახებ (2009-2016 წლების ჩანაწერების მიხედვით). ქართველოლოგიური კვლევები თურქეთში, I. ყარსი, 2024. კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ფუტკარაძე 2025: ფუტკარაძე ტ., ბევრი რამ ერთად – სტატიები, წერილები, ესეები... თბილისი, 2025. გამომც. „გრეფონი“.

References

Altun 2022: S. Altun, Foreword, Kartvelological Research in Turkey, I. Kars, 2022. Kars university publishing.

Putkaradze 2025: Putkaradze T., Lots of Things Together - Articles, Letters, Essays... Tbilisi, 2025. Publishing House “Grifoni“.

Vashakidze 2023: Vashakidze I., Prof.Tariel Putkaradze about the Georgian-Turkish relations. Duzje (Turkey) University works: Turkish-Georgian relations-History, Culture, literature, language. Duzje, 2023. Duzje university publishing.

Vashakidze 2024: Vashakidze I., Prof.Tariel Putkaradze About Georgian Citizens of Turkey (by the Facebook Posts of 2009-2016). Kartvelological Research in Turkey, I. Kars, 2024. Kars university publishing.